



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1216

05 / სექტემბერი / 2019 წ.



KA000088665497119

**ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩა №34-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N04.02.01.560) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 114-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, 2019 წლის 04 სექტემბრის, N1/1-4051 ბრძანების საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრირდეს, ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩა N34-ში მდებარე უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N04.02.01.560) დამატებითი ქონების სახით.

**მუხლი 2.** ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრირდეს ბრძანების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონება.

**მუხლი 3.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამბადასმულია  
ელმძებრონულად

გონა კურდღელია